



შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2018

BNTU

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო , ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი 38 შპს
„ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“

საკონტაქტო ტელეფონები: 0422 29 25 25; 29 32 32, 25 42 92;

ფაქსი: 0422 25 37 49;

ვებ-გვერდი: www.bntu.edu.ge

ელ-ფოსტა: info@bntu.edu.ge

რექტორი: პარმენ ხვედელიძე, პროფესორი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი: ლალი ხვედელიძე.

პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი: ლალი ხვედელიძე

დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი: მზევინარ ძირკვაძე, უფროსი მასწავლებელი.

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“

უნივერსიტეტის ისტორია

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ შემდგომში (- ბნსუ) წარმოადგენს „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამეწარმეო იურიდიულ პირს, დაფუძნებულია კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სასწავლო უნივერსიტეტის - სტატუსი დამოქმედებს როგორც ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და მისი წესდების შესაბამისად

ისტორია და დღევანდელი

1999 წელს დაარსდა „ბათუმის საზღვაო კოლეჯი - მეზღვაურთა სკოლა“. რომლის ბაზაზე 2002 წელს ამოქმედდა საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი „მერკური“, რომელიც ემსახურება მეზღვაურთა მომზადება-გადამზადებასა და სერტიფიცირებას. 2007 – „ბათუმის საზღვაო კოლეჯი - მეზღვაურთა სკოლის“ ბაზაზე დაფუძნდა ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტი - საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი“, შემდგომში (2008წ.) მას ეწოდა „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ შემდგომში (- ბნსუ) და 2013 წელს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№04, 15.02.მიენიჭა 2013) ავტორიზაცია (საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება).

უნივერსიტეტის ღირებულებებია

- ◆ ჰუმანურობა, ტოლერანტობა და თანასწორობა;
- ◆ სინდისის, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- ◆ გადაწყვეტილების ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა;
- ◆ აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება.

უნივერსიტეტის მისია

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მისია არის მისი დამფუძნებლების, სტუდენტების, მაგისტრანტების, პროფესიული სტუდენტების და პერსონალის პასუხი კითხვებზე „ვინ ვართ, რას და ვისთვის ვაკეთებთ?“ და გამოხატავს მათ ხედვას ბნსუ-ს ძირითადი მიზნისა და პრიორიტეტების შესახებ: ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს ღია სოციალურ და საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც ინსტიტუციური თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით მიმართულია:

- ◆ ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე, საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაზე და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე;
- ◆ დისკრიმინაციისაგან თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალური სამართლიანობის გარემოში განათლების მიღებისა და თანასწორი ხელმისაწვდომობისა და ღია ხასიათის უზრუნველყოფაზე, პროფესიის ინტერესებისა და პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობაზე, კულტურული, ინტელექტუალური და პიროვნული განვითარებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაზე;
- ◆ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობაზე (საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ტრეინინგ-კურსები) როგორც განათლების პრიორიტეტულ დარგში - ტრანსპორტში (განსაკუთრებით, საზღვაო სფეროში), მისი ექსპლუატაციისა და მომსახურების, ადმინისტრირების, მენეჯმენტის და სხვ. მიმართულებით, ისე საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამის სხვა სფეროებში;
- ◆ საქართველოს და საერთაშორისო განათლებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი თანამედროვე ცოდნისა და აქტუალური პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე პროფესიონალების მომზადება ზედპიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის, პროფესიონალური ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გაზიარების, პერსონალური და პროფესიონალური განვითარების მოტივაციის ჩამოყალიბებაზე;
- ◆ უწყვეტი განათლების, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღებისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების მხარდაჭერაზე.

უნივერსიტეტის ხედვა

ბნსუ 2025 წელს - კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, საერთაშორისო საგანმანათლებლო, რადგობრივ და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც ერთნაირად პრესტიჟულია შრომა და სწავლა. ამავდროულად, ბნსუ არის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დარგობრივი ორგანიზაციებისთვის სასურველი პარტნიორი, რომელსაც აქვს ცნობადი და ევროპულ საგანმანათლებლო და დარგობრივ სივრცეში აღიარებული ბრენდი.

ჩვენი მიღწევები

ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტთან (ISO) შესაბამისობა.

ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი არის საიმედოობის, ბნსუ-ში მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის და მისი მუდმივი გაუმჯობესების, პერსონალის კომპეტენტურობის და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის გარანტი. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შესა-ბა-მისობის სერტიფიკატები:

- Certificate of Quality Management System Conformity (ISO): ISO 9001:1994|ISO 9001:2000 (2004, 2008); ISO 9001:2008 (2009, 2011, 2014); ISO 9001:2015
- Internation Certification Network: IQNet 2000 (2004, 2008 წ.); IQNet 2008 (2009, 2011, 2014 წ.); IQNet 2015 (2017 წ.).

ბნსუ-ს, როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულების, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (External Audit of BNTU by International Maritime Authority):

- Russian Register Certifikaioon System - Certificate of Quality Management System Conformity (ISO 9001:1994, ISO 9001:2000, ISO 9001:2008, ISO 9001:2015);
- Europeian Maritime Safety Agency საზღვაო უსაფრთხოების ევროკომისიის (EMSA) შემოწმება (2013);
- Recognition by Honduras Maritime Authority
- Recognition by Panama Maritime Authority

ბნსუ-ს, როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულების, საქართველოში მიღებული შესაბამისობის დადასტურება

(BNTU passes audit of Maritime Transport Agency of Georgia). ბნსუ-ს, როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულების, აღიარება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების აღიარების სერტი-ფიკატი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ყოველწლიური აუდიტის შედეგები: intermediate, final audit (2014); intermediate, final audit (2015); intermediate, final audit (2016); final audit (2017).

საერთაშორისო დარგობრივ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი - სამეცნიერო ჟურნალის თანადამფუძნებელი

2016 წლიდან ბნსუ არის საერთაშორისორეფერირებადიდარეცენზირებადისამეცნიერო-პრაქტიკულიჟურნალის„ინოვაციურიეკონომიკადამართვა” თანადამფუძნებელი.

საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა

- IAMU - საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი;
- BSAMI - შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ინსტიტუტების ასოციაციის წევრი;
- საგანმანათლებლო-სამეცნიერო თანამშრომლობის საერთაშორისო კონსორციუმის წევრი.

ჩვენი პარტნიორები

საგანმანათლებლო დაწესებულებები

- ✦ ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთმშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ნიკოლაევი, უკრაინა);
- ✦ NorthEast Maritime Institute (მასაჩუსეტსი, აშშ);
- ✦ ლატვიის ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ინსტიტუტი (ქ. რიგა, ლატვია);
- ✦ ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ქ. ჩერნიგოვი, უკრაინა);
- ✦ მიხაილ ბალუდიანსკის აკადემიური საზოგადოება (ქ. კოშიცე, სლოვაკეთი);
- ✦ თურქეთის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი (ქ. ტრაბზონი, თურქეთი);
- ✦ ბაქოს საზღვაო აკადემია (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი);
- ✦ კიევის სახელმწიფო საზღვაო ტრანსპორტის აკადემია (ქ. კიევი, უკრაინა);
- ✦ უკრაინის საზღვაო მეცნიერებათა, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საერთაშორისო აკადემია (ქ. ნიკოლაევი, უკრაინა);
- ✦ ვარშავის მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ქ. ვარშავა, პოლონეთი);
- ✦ უსაფრთხოების მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ქ. კოშიცე, სლოვაკეთი);
- ✦ კოშიცეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (ქ. კოშიცე, სლოვაკეთი);
- ✦ ჩეხეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი პრაღაში (ქ. პრაღა, ჩეხეთი);
- ✦ პირი რეისის საზღვაო უნივერსიტეტი (ქ. სტამბული, თურქეთი).

დარგობრივი ორგანიზაციები

- ✦ „Poseidon“;
- ✦ „Iberia Navigation +“;
- ✦ „Fregat“;
- ✦ „Elseri“;
- ✦ „International Maritime Group“; „Baltic Groupnational, Iter Georgia“; „Eurostar Marine“;
- ✦ „Aries“;
- ✦ „NONAT XXI“;
- ✦ შპს „გზა“;
- ✦ შპს „ბმს გორგია“;
- ✦ BATOS SHIPPING LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია);
- ✦ INFLOT BATUMI LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია);
- ✦ TERO MARITIME AGENCY LTD (სააგენტო, საექსპედიციო კომპანია); შპს „კარგო ტრანს გრუპი“;
- ✦ შპს „ჯეო ტრანს გრუპი“ საექსპედიციო (გადამზიდავი კომპანია);
- ✦ შპს „ბათუმის რეილ გრუპი“;
- ✦ შპს „ემ ერ ჯი ლიმიტედ“.
- ✦ შპს „საგიტარიუსი“ - მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი,
- ✦ ა(ა)იპ ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტი

დამსაქმებელი პარტნიორები

ჩვენი პარტნიორი საკრუინგო კომპანიებია:

- ✚ „ჯემინი“;
- ✚ “QUEENSWAY SERVICES”;
- ✚ “GEO CREWING”;
- ✚ “EUROSTAR MARINE”;
- ✚ “ARIES”;
- ✚ „NITC – NATIONAL IRANIAN TANKER COM”.
- ✚ შპს „სააგენტო პოსეიდონი”
- ✚ შპს „ინტერნეშენელი მარიტაიმ გროუფ”
- ✚ შპს „გეო ბრიჯ-კ”
- ✚ შპს „ელსერი”
- ✚ შპს „იბერიის ნავიგაცია +”
- ✚ შპს „იალქანი-s”
- ✚ შპს „გლობალ მარინ ქომპანი”
- ✚ შპს „ფრეგატი ქრიუმენეჯმენტი და ქონსალტინგი”
- ✚ შპს „ვალმარს ჯორჯია”
- ✚ შპს „ელვიქტორ ქრიუ მენეჯმენტ სერვის”
- ✚ სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსაქმებლის სააგენტო
- ✚ შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური შპს „ ბათუმის
- ✚ ავტოტრანსპორტი შპს „ინტერლოგჯორჯია”
- ✚ შპს „კარგო ტრანს გრუპი”
- ✚ შპს „ტერო მერიტაიმ ეიჯენსი”
- ✚ შპს „ბატოს შიპპინგ”
- ✚ შპს „ინფლოტი ბათუმი”

საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატები

- ✦ ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი ISO 9001:2015
- ✦ IQNET-სერტიფიკატი
- ✦ IAMU- საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი
- ✦ BSAMI-შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ინსტიტუტების ასოციაცია
- ✦ ევროკომისიის გადაწყვეტილება
- ✦ Approval of Maritime Training Centre by Honduras Maritime Authority
- ✦ Approval of Maritime Training Centre by Panama Maritime Authority



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი 1 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

1. გემბანის რიგითი მეზღვაური ----- 10 გვ.
2. სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური ----- 13 გვ.
3. გემის ელექტიკოსი ----- 17 გვ.
4. გემის მზარეული ----- 21 გვ.

ნაწილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელება დაიწყება ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში

5. საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური 27 გვ.
6. გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური 29 გვ.
7. ელექტროობა მესამე საფეხურის - გემის ელექტიკოსი 31 გვ.

ნაწილი 3 მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

8. საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა

ნაწილი 4 პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

9. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში
10. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში

ნაწილი 1 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

გემზანის რიგითი მეზღვაური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **გემზანის რიგითი მეზღვაური**
 პროფესიული განათლების საფეხური: მესამე
 მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გემზანის რიგითი მეზღვაურის III
 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (111001)
 პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 26 სთ), სულ 1560
 საათი. აქედან:

60% – 36 კრედიტი (936 სთ) სასწავლო
 კომპონენტისთვის (საკონტაქტო-379;
 დამოუკიდებელი-557)
 40% – 24 კრედიტი (624 სთ) პრაქტიკის
 კომპონენტისთვის

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც მიღებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ან სრული ზოგადი განათლება.
დამატებითი მოთხოვნა: საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია სპეციალური სამედიცინო შემოწმების გავლა (ფორმა # IV-100/ა) სამედიცინო ცენტრებში, რომელთაც აქვთ საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის სათანადო აღიარება. სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით.

პროფესიული პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს გემზანის რიგითი მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებული, რომელმაც უნდა იცოდეს: გემის უსაფრთხო მართვის საფუძვლები, გემის სამუშაოების შესრულება, მათ შორის: სადურგლო, სამღებრო, სატაკელაჟო სამუშაოები. კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოები; რანჰოლტისა და ტაკელაჟის მოწყობილობები; გემის საჭის, სატვირთო, ლუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	იგის:
	<ul style="list-style-type: none"> • ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ; • რანჰოლტისა და ტაკელაჟის მოწყობილობები; • გემის საჭის, სატვირთო, ლუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; • გარე კორპუსის ნაწილის მომზადება ნაოსნობისათვის; • გემის საღებავების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენების წესები; • გემზანის ტექნიკური საშუალებების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და

	<p>ტექნიკური მომსახურება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ამწე-სატვირთო მექანიზმების ექსპლუატაციის წესები; • ნავიგაციის ძირითადი ტერმინები, ცნებები და განმარტებები; • საჭის მართვის ბრძანებები და მათი დანიშნულებები, მათ შორის ინგლისურ ენაზე; • მოვალეობები დაკავშირებული დაკვირვების წარმოებასთან, მათ შორის ხმოვან სიგნალზე, შუქნიშანზე ან სხვა ობიექტზე წარმოებულ მიმართულებაზე გრადუსებში და მეოთხედებში; • დედამიწის ფორმა და ზომები, გეოგრაფიული კოორდინატები; ძირითადი ხაზები და სიბრტყეები, ჰორიზონტის დაყოფის წრიული, მეოთხედური, რუმბული სისტემები; • ჭეშმარიტი კურსი და საკურსე კუთხე, დედამიწის მაგნეტიზმი, მაგნიტური კურსი და პელენგი, გიროკომპასი და მათი დანიშნულება • სანავიგაციო ვახტის გაწევის წესები; • უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები გემბანზე სამუშაოდ; • თავისი მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები; • ტვირთის მიღების, ჩაბარების, განთავსების და დამაგრების წესები; • განგაშის ტიპების ჩამონათვალი; • განგაშის სიგნალები. განრიგი განგაშის პირობებში; • მარკირების სახეები გემბანზე; • ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; • უსაფრთხო ვახტის გაწევის ნორმები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <p>გემის სამუშაოების შესრულება, მათ შორის: სადურგლო, სამღებრო, სატაკელაჟო სამუშაოები. კორპუსისა და ლითონის ნაკეთობათა გამწმენდი სამუშაოები;</p> <ul style="list-style-type: none"> • სანავიგაციო და სადგომი ვახტის წარმოება, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების გაწევა ვახტაზე; • გემის ვახტის გაწევის წესების დაცვა; • საჭის მოწყობილობისა და კურსის მაჩვენებელის კონტროლი. გიროკომპასისა და მაგნიტური კომპასის გამოყენება საჭის მართვის დროს. ავტომატურიდან ხელით მართვაზე გადასვლის ბრძანების შემთხვევაში და პირიქით; • განახორციელოს გემის მიზმის ოპერაციები; • განახორციელოს საჭის, სატვირთო და ბუქსირების საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია; • განახორციელოს ჩატვირთვა გადმოტვირთვის პროცედურები: მოამზადოს სათავსოები, სატვირთო ტრიუმები და გემბანი ტვირთის განსათავსებლად; მიიღოს, ჩაიბაროს, განათავსოს და დაამაგროს ტვირთი. გაწმინდოს ტრიუმები და გაასუფთაოს გემბანი გადმოტვირთვის ოპერაციის შემდეგ;

	<ul style="list-style-type: none"> • უზრუნველყოს ნაოსნობის უსაფრთხოება. უზრუნველყოს სატრანსპორტო უსაფრთხოების სათანადო დონე, გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა; • იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა; • განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: პიროტექნიკური საშუალებები, თანამგზავრული ავარიული რადიო ბუები და ტრანსპონდერები; • განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში; • თავისი კომპეტენციების ფარგლებში იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე. • კომუნიკაცია პროფესიულ და საყოფაცხოვრებო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. • შეუძლია კომპიუტერთან მუშაობა, საოფისე პროგრამებში ელემენტარული ფუნქციების შესრულება. ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, ელფოსტით ურთიერთობა
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p><i>შეუძლია</i> საჭის მოწყობილობის, კურსის მაჩვენებლის კონტროლისა და ვიზუალური დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და კაპიტნის სავახტო თანაშემწის ინფორმირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p><i>აქვს</i> გუნდური მუშაობის უნარი და შეუძლია განახორციელოს ეფექტური სამუშაო ურთიერთობები ვახტის გაწევის დროს. სამეთაურო შემადგენლობის პირის მიერ გაცემულ ბრძანებებზე ასრულებს ადექვატურ მოქმედებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში; შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გემის შიდა კავშირისა და ავარიული სიგნალი-ზაციის ეფექტურად გამოყენება; აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით;</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრძნება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას.</p>

სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (111002).

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 26 სთ), სულ 1560 საათი. აქედან: 60% – 36 კრედიტი (936 სთ) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო - 495; დამოუკიდებელი - 441); 40% – 24 კრედიტი (624 სთ) პრაქტიკის კომპონენტისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც მიღებული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ან სრული ზოგადი განათლება.

დამატებითი მოთხოვნა: საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელია სპეციალური სამედიცინო შემოწმების გავლა (ფორმა # IV-100/ა) სამედიცინო ცენტრებში, რომელთაც აქვთ საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის სათანადო აღიარება. სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით.

პროფესიული პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებული, რომელმაც უნდა იცოდეს: გემის ძრავების კონსტრუქცია, მათი მუშაობის პრინციპი, თეორიული და მუშა ციკლები, ძრავის ძირითადი პარამეტრები, მათი კონტროლი და რეგულირება; გემის მთავარი ძრავის ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე სისტემების საიმედო გაშვების, სამუშაო რეჟიმისა და მექანიზმების საერთო მდგომარეობის კონტროლის მეთოდები, სამანქანო სავალი ვახტის გაწვევის ორგანიზაციის მეთოდები.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება	იცის:
	<ul style="list-style-type: none">• ზოგადი ცნებები გემის აგებულებისა და გემის სანაოსნო თვისებების შესახებ;• გემების დანიშნულება და კლასიფიკაციის ნიშნები;• გემის საჭის, სატვირთო, ლუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება;• გემის სათავსოები, ტრიუმები და ტვინდეკები;• გემის კორპუსის ფორმა, ძირითადი კვითები;• გემის ტვირთამწეობა; გემის ცურვადობა, გემის მდგარობა; გემის

ჩაუძირვადობა

- ზოგადი ცნებები გემის შიგაწვის ძრავებში მიმდინარე პროცესების შესახებ. ძრავების აგებულება, მათი მოქმედების პრინციპები, მომსახურე სისტემები; გემის ძრავების კონსტრუქცია, მათი მუშაობის პრინციპი, თეორიული და მუშა ციკლები, ძრავის ძირითადი პარამეტრები
- გემის შიგაწვის ძრავების ექსპლუატაციის წესები;
 - ენერგეტიკული დანადგარების მუშაობის ძირითადი საექსპლუატაციო მაჩვენებლები;
 - უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები სამანქანე განყოფილებაში სამუშაოდ;
- გემის ქვაბების უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები;
- გემის ორთქლის ქვაბების და დამხმარე მექანიზმების ტიპები და მათი კონსტრუქციები.
- ქვაბების და დამხმარე მექანიზმების, სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები;
- გემის სისტემებისა და მექანიზმების ავარიულ-გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია;
- ვახტის გაწევის წესები სამანქანე განყოფილებაში;
- მთავარი ძრავის, დამხმარე დიზელ გენერატორის და დამხმარე მექანიზმების გაუმართავი მუშაობის ნიშნები და მიზეზები;
- გემის ტუმბოების, კომპრესორების, სეპარატორების და საჭის მანქანის აგებულება და მომსახურე სისტემები;
- გემის მექანიზმების, სისტემების და მოწყობილობების ექსპლუატაციისა და რემონტის ძირითადი მასალები;
- გემის სისტემების (საბალასტე, დასაშრობი, ტანკერების სატვირთო, სანიტრული, ინერტული გაზების, ხანძარსაწინააღმდეგო და სხ) დანიშნულება შემადგენელი ნაწილები და მათი ექსპლუატაციის უნარ-ჩვევები.
- გემის მილგაყვანილობების მარკირება და დანიშნულება;
- გემის მილგაყვანილობების მასალები
- მუდმივი დენის ელექტრული წრედების გაანგარიშება; ელექტრომამოძრავებელი ძალის შემცველი შერეული წრედის გაანგარიშება; მაგნიტური წრედის გაანგარიშება;
- გამანაწილებელი მოწყობილობებისა და ტრანსფორმატორების კონსტრუქციები. გენერატორების აგზნების და ძაბვის ავტომატური რეგულირების სქემის მიხედვით მუშაობა;
- გემის ელექტროსადგურის სიმძლავრის გაანგარიშება. აკუმულატორების ელექტრული დატვირთვების განსაზღვრა და შერჩევა;
- მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში).
- ავარიული სიგნალიზაციის სისტემები სამანქანე განყოფილებაში;
- ავარიული აღჭურვილობის გამოყენება და მოქმედებები ავარიული სიტუაციების შემთხვევაში; • ნარჩენების უტილიზაციის ნებადართული წესები;
- ზღვის გარემის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი

	<p>მოთხოვნები;</p> <ul style="list-style-type: none"> • ლითონების და მათი შენადნობების აგებულება და თვისებები; - ექსპლუატაციაში გამოყენებული ყველა მასალის (ლითონური, არალითონური, ელექტროტექნიკური, კომპოზიციური) მექანიკური თვისებების და სიმტკიცის პლასტიკურობის, დრეკადობის, დარტყმითი სიბლანტის, დაღლილობის ზღვარის, მაგნიტური თვისებების მახასიათებლების გათვალისწინებით შერჩევა გემის კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების დამზადებისათვის. • სამანქანო განყოფილებაში გამოსაყენებელი საზომი და ხელის ინსტრუმენტები; ბურთულსაკისრების, გორგოლაჭსაკისრების და დგუშის რგოლების <p>მოსახსნელი ხელსაწყოები, მათი პრაქტიკული გამოყენება; საზეინკლო ოპერაციები; საზეინკლო ოპერაციები; დეტალების გაზომვის მეთოდები</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაწიოს ვახტა სამანქანო განყოფილებაში; • მოამზადოს მუშა პროცესისათვის ენერგეტიკული დანადგარების მომსახურე სისტემები; • მოამზადოს მუშა პროცესისათვის ორთქლის ქვაბები, დამხმარე მექანიზმები და მათი მომსახურე სისტემები • განახორციელოს სამანქანო განყოფილების ელექტრომოწყობილობების მომსახურება; • შეასრულოს აუცილებელი მოქმედებები განგაშის ყველა სახეობის ადექვატურად, სიცოცხლის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ჩაუშვას, ამოწიოს და მართოს სამაშველო კანჯო; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა; • თავისი კომპეტენციების ფარგლებში: გემის გადარჩენის ტექნიკური საშუალებების, ავარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ინვენტარის გამოყენება; იმოქმედოს გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე. • თავისი კომპეტენციების ფარგლებში: ექსპლუატაცია გაუწიოს გემის სისტემებს • სამანქანო განყოფილებაში გამოსაყენებელი ხელის ინსტრუმენტების პრაქტიკული გამოყენება; ფოლადის და ფერადი ლითონების თერმული დამუშავება; მილგაყვანილობის სარქველის რემონტი; ცენტრიდანული, კბილანა და ხრახნული ტუმბოების რემონტი • კომუნიკაცია პროფესიულ და საყოფაცხოვრებო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. • შეუძლია კომპიუტერთან მუშაობა, საოფისე პროგრამებში ელემენტარული ფუნქციების შესრულება. ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება, ელფოსტით ურთიერთობა • გემების ექსპლუატაციისას წარმოქმნილი მრავალი ამოცანის წარმატებით გადაჭრა და ამით ავარიების თავიდან აცილების საშუალებების გამოყენება. • მთავარი და დამხმარე მექანიზმების ექსპლუატაციის ორგანიზება და მისი ტექნიკური მომსახურება;

	<ul style="list-style-type: none"> • გემის ელექტრომოწყობილობა, ხელსაწყოები და ავტომატური კონტროლის სისტემების ექსპლუატაციის წესები; ელექტრული და მაგნიტური წრედები. • უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის დაცვის, საწარმოო სანიტარიის, ხანძართსაწინააღმდეგო დაცვის წესები და ნორმები.; ეკოლოგიის მოთხოვნები გარემოს დაცვის კუთხით. ავარიებისა და ავარიული სიტუაციების მასალები. • გემისა და მისი მოწყობილობების, სისტემების აღჭურვილობა; მანევრების მაჩვენებელი და გამფრთხილებელი სიგნალები; თავის გადარჩენის ხერხები ზღვაზე ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღება; საფრთხის შემჩნევა და შეფასება; მოქმედება შეჯახების თავიდან ასაცილებლად • პირველადი ღონისძიებების გატარება გემისა და მისი ტექნიკური საშუალებების გადარჩენისთვის ბრძოლის დროს. ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის კოლექტიური და ინდივიდუალური საშუალებების გამოყენება.
<p>დასკვნის შედეგების უნარი</p>	<p>საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების ჩვენებების, ვიზუალური და სმენითი დაკვირვების შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და სავახტო მექანიკოსის ინფორმირება.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>აქვს გუნდური მუშაობის უნარი და ამყარებს ეფექტურ სამუშაო ურთიერთობებს კოლეგებთან, ხელმძღვანელობასთან; აქვს სტანდარტული ინგლისური ფრაზების ცოდნა ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის აუცილებელი მოცულობით; ვახტის გაწევის პროცესში, ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების დროს ადექვატურად აღიქვამს ბრძანებებს და შესწევს უნარი გასცეს მოტივირებული და დასაბუთებული პასუხი.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>კვალიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად აცნობიერებს გადამზადების კურსების აუცილებლობას და შემდგომი პროფესიული ზრდის საჭიროებას.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>მეზღვაურის პროფესიული საქმიანობის თავისებურების განმსაზღვრელია პროფესიის მაღალი რისკ-ფაქტორი. გემი მეზღვაურისათვის წარმოადგენს ერთდროულად სამუშაო და საცხოვრებელ გარემოს. გამომდინარე აქედან ერთიანი გუნდის შეგრომება, თვითდისციპლინა, კომუნიკაბელობა, პუნქტუალობა, პროფესიული და პირადი პასუხისმგებლობა ის ძირითადი ღირებულებებია, რომლებიც განსაზღვრავენ გემის, ეკიპაჟისა და ტვირთის უსაფრთხოებას.</p>

გემის ელექტრიკოსი მესამე საფეხურის

პროგრამის სახელწოდება: ელექტრიკოსის (გემის ელექტრიკოსის) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა.

პროფესიული განათლების საფეხური: მესამე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040557).

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% პრაქტიკას) (1 კრედიტი - 26 სთ, 60 კრედიტი = 1560 სთ).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროფესიულ პროგრამაზე სასწავლებლად დაიშვება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ან აქვს სრული ზოგადი განათლება.

პროფესიული პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს ელექტრიკოსის (გემის ელექტრიკოსის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც იცოდინება ელექტროენერგეტიკის სფეროში გამოყენებული ხელსაწყოებისა და სამარჯვების მოქმედების პრინციპისა და დანიშნულების საფუძვლები, ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ცალკეული დეტალების ფუნქციონალური დანიშნულება, ელექტროსამონტაჟო ოპერაციების სახეობები, ელექტროდანადგარების სამონტაჟო, სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროცესები, მეთოდები და ზოგადი თეორიული საფუძვლები. გემის ელექტრომოწყობილობის დანიშნულება და სქემა. ელექტრული ამპრაჟების მოწყობილობა, ელექტროდანადგარების აპარატურის ხელსაწყოების და მექანიზმების დანიშნულება, მოწყობილობა, მოქმედების პრინციპი და შეძლებს გემზე მათ განთავსებას, წინასწარ განსაზღვრული დავალებების მიხედვით შესაბამისი ხელსაწყოებისა და სამარჯვების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, სამონტაჟო ინსტრუმენტების და მასალების მეშვეობით ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟს, ტექნიკურ მომსახურებას, მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულებას მიცემული დავალების შესაბამისად, პროფესიულ საქმიანობაში ელექტრიკოსის (გემის ელექტრიკოსის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების წარმატებულ გამოყენებას STCW მანილას დამატებების წესი III/7, STCW კოდექსის თავი A-III/7 ცხრილი A-III/7 მოთხოვნების თანახმად.

სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქვს ელექტროენერგეტიკის სფეროში გამოყენებული ხელსაწყოებისა და სამარჯვების მოქმედების პრინციპისა და დანიშნულების, ელექტროდანადგარის სამონტაჟო, სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროცესებისა და ზოგადი თეორიული საფუძვლების ცოდნა; • იცის დამცავი საშუალებების გამოყენება და ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ცალკეული დეტალების ფუნქციონალური დანიშნულება; • იცის ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების ცალკეული დეტალისა და მარტივი კვანძის დანიშნულება და აცნობიერებს მათ მათ მნიშვნელობას; • იცნობს ელექტროდანადგარების რემონტის შესრულებისათვის საჭირო ელექტროსამონტაჟო ოპერაციების სხვადასხვა სახეებს. კაბელებისა და სადენების გაყვანის ხერხებს. გამანაწილებელი მოწყობილობებისა და ტრანსფორმატორების კონსტრუქციებს; • იცის სტანდარტიზაცია მანქანათმშენებლობაში, ცდომილებები დეტალების დამზადების და მანქანების აწყობის დროს. მექანიზმების კინემატიკა. ბრუნვითი მოძრაობის გადაცემა. მანქანათა დეტალები, საამწყობრო ერთეულები, კლასიფიკაცია, დანიშნულება და მათდამი მოთხოვნები; • იცის გემის ელ.მოწყობილობების ტექ. მომსახურება და ექსპლოატაციის წესები; ელ. გამზომი აპარატების აგებულება და გამოყენების წესები, სარემონტო სამუშაოების მსვლელობის წესები და უსაფრთხოების წესები; • გემის საჭის, სატვირთო, ღუზის, მისაბმელი და ბუქსირების მოწყობილობების დანიშნულება, აგებულება, გამოყენება და ტექნიკური მომსახურება; • ძირითადი დამხმარე მექანიზმების ელექტროამძრავები; გემის ელექტრო-მოწყობილობა, ხელსაწყოები და ავტომატური კონტროლის სისტემების ექსპლუატაციის წესები; სატვირთო, საღუზე და საჭის მოწყობილობის ელექტროამძრავები; ელექტრული ამძრავების მოწყობილობა, მუშაობა და ტექნიკური მომსახურება; • გემის მექანიზმების, სისტემებისა და მოწყობილობების ექსპლუატაცია და მათი მოვლა, გემის სვლისა და დგომის დროს სავახტო სამსახურის ჩატარება დაკვირვების ჩატარება, კავშირგაბმულობა; • უსაფრთხოების ნიშნები; უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები; თავისი მოვალეობები გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (ავარიული სიტუაციის, ხანძრის შემთხვევებში). ავარიული სიგნალიზაციის სისტემები; • განგაშის ტიპების ჩამონათვალი; განგაშის სიგნალები. განრიგი განგაშის პირობებში; • ინდივიდუალური დამცავი საშუალებები; • ხანძართსაწინააღმდეგო დაცვის წესები და ნორმები.; ეკოლოგიის
------------------------------	--

	<p>მოთხოვნები გარემოს დაცვის კუთხით. ავარიებისა და ავარიული სიტუაციების მასალები.</p> <ul style="list-style-type: none"> • გემისა და მისი მოწყობილობების, სისტემების აღჭურვილობა; მანევრების მაჩვენებელი და გამფრთხილებელი სიგნალები; თავის გადარჩენის ხერხები ზღვაზე. • ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნები; • იცის: გემის ელექტრომოწყობილობის დანიშნულება და სქემა. ელექტროდანადგარების აპარატურის ხელსაწყოების და მექანიზმების დანიშნულება, მოწყობილობა, მოქმედების პრინციპი და გემზე განთავსება.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტროენერგეტიკის სფეროში გამოყენებული ხელსაწყოებისა და სამარჯვების გამოყენებით მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულება მიცემული დავალების შესაბამისად. • სარემონტო სამუშაოების წინ მოამზადოს ინსტრუმენტები, სამარჯვები, მექანიზმები, მასალები და სათადარიგო ნაწილები. ელექტროენერგეტიკულ მოწყობილობებზე, დანადგარების ცალკეულ დეტალებსა და მარტივ კვანძებზე წინასწარ განსაზღვრული დავალებების მიხედვით საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და სამონტაჟო ინსტრუმენტების, ძირითად მეთოდებისა და მასალების გამოყენებით ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის ტექნიკური მეთოდების და უნარების ფართო სპექტრით მანიპულირება, • გამოავლინოს გემის ელექტრომოწყობილობის უწყსრიგობა, განახორციელოს მათი მსუბუქი რემონტი და რეგულირება. • აკონტროლოს ელექტროენერგიის მიწოდება ელექტროფიცირებულ დამხმარე მექანიზმებსა და სისტემებზე; • გემის ელექტრომოწყობილობის კაბელების მონტაჟი, დემონტაჟი, გაყვანილობა და რემონტი. აკუმულატორების ბატარეის, გამშვები მარეგულირებელი აპარატურის და ელექტროგანათების ქსელის მომსახურების გაწევა; • სხვადასხვა ელ.სქემების შედგენა/გარჩევა, ელხელსაწყოების, ინსტრუმენტების და სხვა ელ.მოწყობილობების გამოყენება, ელდანადგარების ექსპლუატაციის გაწევა კომპეტენციის ფარგლებში; <ul style="list-style-type: none"> • გემზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოებისა და ძირითადი ოპერაციების ჩატარება; • შრომის დაცვის პირობების შესრულება; <ul style="list-style-type: none"> • გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და თავისი კომპეტენციების ფარგლებში სამუშაოს შესრულება გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე; • გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა;

	<ul style="list-style-type: none"> • იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა; • განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში; • მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულებას მიცემული დავალების შესაბამისად: გემის ელდანადგარების, მოწყობილობების, სისტემების ექსპლუატაციის გაწევა, გაუმართაობების გამოვლენა და აღმოფხვრა, ტექნიკური მომსახურების და რემონტის ჩატარება კომპეტენციის ფარგლებში.
დასკვნის გაკეთების უნარი	<p>შეუძლია უშუალო ხელმძღვანელის (ცვლის უფროსი, მორიგე ინჟინერი) მითითებების გათვალისწინებით სამუშაოს პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა. ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე სამონტაჟო და საექსპლუატაციო სამუშაოების მიმდინარეობისას უნდა შეეძლოს მის წინაშე დასმული პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ტექნიკური ინფორმაცია. შეუძლია ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის დროს წამოჭრილი სხვადასხვა ლოკალური ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტა დამოუკიდებლად, მისი შეფასების, ანალიზის და ამის საფუძველზე მიღებული დასკვნის შესაბამისად.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია პროფესიული საქმიანობისას ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენება, პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ინგლისურ და ქართულ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მის კომპეტენციაში მყოფ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენება (Microsoft Office-ის შემადგენლობაში შემავალი პროგრამების (Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint) გამოყენება, ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება და მისი დამუშავება, მარტივი მონაცემთა ბაზების მართვა და სხვ.)</p>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია თეორიული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მიწოდებული მასალის როგორც პროფესორისა და ინჟინერ-ენერგეტიკოსის ხელმძღვანელობით შესწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით, ასევე მის წინაშე დასმული ამოცანების სწორად შეფასებისა და აქედან გამომდინარე სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარი.</p>
ღირებულებები	<p>აცნობიერებს ელექტროენერგეტიკული პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და პასუხისმგებლობას. იცნობს უსაფრთხოების წესებს. გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად. შეუძლია სამუშაო გარემოს დაცვაზე ზრუნვა. შეუძლია მის სამოქმედო უბანზე აღმოაჩინოს და აღმოფხვრას დაშვებული უზუსტობანი. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებსა და უსაფრთხოების წესებს.</p>

გემის მზარეული

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **გემის მზარეული**
 პროფესიული განათლების საფეხური: მეორე
 მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მზარეულის მეორე საფეხურის
 პროფესიული კვალიფიკაცია (010463)
 პროგრამის მოცულობა: 45 კრედიტი (1 კრედიტი - 26 სთ.), სულ 1170 საათი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა საბაზო ან სრული ზოგადი განათლება.

პროფესიული პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეორე საფეხურის მზარეული (გემის მზარეული), რომელმაც უნდა იცოდეს: საკვების მომზადების ტექნოლოგიური პროცესი; გემების მომსახურე პერსონალის და გემის მზარეულის სამსახურებრივი ინსტრუქციები.

სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იცნობს და იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვების ობიექტების სახეები და მათი მუშაობის სპეციფიკა; • სამზარეულოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები; • საკვები პროდუქტების სახეები, შემადგენლობა, მათი კვებითი ღირებულება. • საკვები პროდუქტების სუბსტიტუტები. მცენარეული და ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების წარმოების მეთოდები და ტექნოლოგია. • საკვები პროდუქტების პირველადი დამუშავება (გაწმენდა, გარეცხვა, და დაფასოება), მათი შენახვის წესები. • სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების გადამუშავება; დამზადება, თერმული დამუშავების, გაყინვის ან გაციების მეთოდები. შენახვის პირობები და ვადები. • საკვები პროდუქტების სხვადასხვა მეთოდით დამუშავება. ტექნოლოგიური ბარათის გამოყენებით და მზარეულის ან შეფ მზარეულის უშუალო ხელმძღვანელობით შეუძლია ნახევარფაბრიკატებისა და კერძის ცალკეული მარტივი კომპონენტების მომზადება; მასალის, ნახევარფაბრიკატების და მზაკერძების შენახვა ტემპერატურული ნორმების ზუსტი დაცვით. • ყველანაირი საკვები პროდუქტის ადგილობრივი და უცხოური სახეობების ერთმანეთისაგან გარჩევა • სანელებლები და მათი კლასიფიკაცია (ქვეყნების მიხედვით); • ქართული სამზარეულოს ისტორია, წარმოშობა, სხვა ქვეყნის სამზარეულოების გავლენები და რეგიონალური თავისებურებები; რეგიონული სამზარეულოები და მათი სპეციფიკა;
-------------------------------------	---

- ქართული სამზარეულოს ცივი და ცხელი კერძების მომზადება მზა რეცეპტურისა და ტექნოლოგიური ბარათის საფუძველზე; იცნობს მსოფლიო კულინარიული ხელოვნების საფუძვლებს და მათ თავისებურებებს.
- მსოფლიო სამზარეულოს მარტივი სტრუქტურის კერძების რეცეპტურის საფუძველზე მომზადება ბოსტნეულის, ბურღვლეულის, ხორცის (ძროხა, ღორი, ხბო, ცხვარი, ბატკანი, თხა, ციკანი, კურდღელი); ფრინველის (ქათამი, მამალი, ინდაური, ბატი, იხვი) ხორცის; ნანადირევის (ხოხობი, გარეული იხვი, მწყერი); ზღვის პროდუქტების; პარკოსნების; კვერცხის, სოკოს, რძის პროდუქტების გამოყენებით წვნიანების, გარნირების, სენდვიჩების, ბურგერების, სოუსების, სალათების; კანაპეების; აპერიტივებისა და სხვა მარტივი კერძების აწყობა-მომზადება.
- ცომზე მუშაობა; ცომეულის ძირითადი სახეობების მომზადების მეთოდები; ფლობს ხილისა და სხვა ინგრედიენტებისაგან მარტივი დესერტების მომზადების ტექნოლოგიას;
- მუშაობის ტექნიკა, მათ შორის დანით მუშაობის ტექნიკა საშუალო დონეზე (კარვინგის ხელოვნება). ნედლეულის ხარჯის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის გამოსავლიანობის გამოთვლა ნედლეულის ცალკეული სახეობების მიხედვით. იცნობს მენიუს სტრუქტურას და მენიუს სახეებს
- მენიუს წარდგენა, მარტივი და რთული (შერეული) კერძის საკალკულაციო ბარათების შედგენა;
- სამზარეულოს აღწერა /ინვენტარიზაცია; ნედლეულის ხარისხისა და წონის კონტროლი. აქვს სამზარეულო მართვის სწორი დაგეგმარებისა და აღრიცხვიანობისათვის აუცილებელი საფუძვლების ცოდნა.
- ზომის, წონისა და მოცულობის ერთეულები. იცის კერძის ულუფებად დაყოფა; კერძის თვითღირებულების გამოთვლა.
- სხვადასხვა კვების ობიექტების კლასიფიკაცია; შეუძლია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების გეგმის მომზადებასა და მის განხორციელებაში მონაწილეობის მიღება.
- კერძის გაფორმება და მისი წარდგენისათვის საჭირო სერვისისა და სერვირების ცოდნა.
- მომსახურების კულტურა, სტუმართან ურთიერთობა,
- კვებისა და მისი მნიშვნელობის არსი, კვების პროდუქტების კომპონენტები, კვების პროდუქტების ბიოლოგიური წარმოშობის ბუნებრივი კონტამინანტები, კვების პროდუქტების ანთროპოგენური ქიმიური კონტამინანტები. კვებითი ინტოქსიკაციები და მათი პროფილაქტიკა.
- სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები კვების მრეწველობის საწარმოების მოწყობისა და ტექნოლოგიური პროცესებისადმი.
- სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები ნედლეულისადმი; სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები მზა პროდუქციისადმი; მუშა- მოსამსახურეთა პირადი ჰიგიენა; მოთხოვნები პერსონალის შრომის პირობებისა და უსაფრთხოებისადმი. სანიტარიული კანონმდებლობა და საზოგადოებრივი კვების სფეროში მარეგლამენტირებელი ნორმატიული დოკუმენტები. სანიტარიული მოთხოვნები საზოგადოებრივი კვების ობიექტების

სათავსების მოწყობისა და მოვლისადმი.

• მწერებისა და მღრღნელების საწინააღმდეგო ღონისძიებები;
საზოგადოებრივი კვების საწარმოებში კვების პროდუქტების და/ან კერძების მომზადების, კულინარიული დამუშავებისა და შემდგომი შენახვის ძირითადი წესები. მოთხოვნები კვების პროდუქტების ტრანსპორტირების, მიღებისა და შენახვისადმი. საკვები პროდუქტების შერჩევისა და შენახვის წესები; ინფექციური და პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკა.

საბაზისო დონეზე იცნობს:

- შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები;
- პროფესიის მარეგულირებელი ნორმები და სტანდარტები;
- შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მარეგულირებელი ნორმები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და სტანდარტები;
- სანიტარული რეჟიმი კამბუზზე
- პირველადი სამედიცინო დახმარების წესები;
- ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტის ჩამოწერის წესი;
- ინვენტარიზაციის ჩატარების წესი და ვადები.
- კამბუზის მუშაობა შტორმული ამინდის დროს;
- გემებზე პროდუქტების გახარჯვის აღრიცხვა – გემზე სააღრიცხვო წიგნი; აქტი კვების პროდუქტების, ტარის გადაცემის და შემოწმების შესახებ;
- გემის პირობებში სწრაფადფუჭებადი პროდუქტების შენახვა რეკომენდირებული ტემპერატორული რეჟიმის დაცვით;
- ტროპიკული კლიმატის პირობებში კვების ორგანიზების საფუძვლები; წყალმომარის რეჟიმი ტროპიკებში; შერეული ეთნიკური ტიპის ეკიპაჟის კვების თავისებურებანი; იცის გემზე საკვების შენახვისა და მომზადების სპეციფიკა.
- გემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის ორგანიზაციის პრინციპების შესწავლა;
- გადარჩენის მიზნით პირადი უსაფრთხოების წესების ცოდნა;
- სამაშველო საშუალებების მართვა; ხანძრის თავიდან აცილების და ხანძართან ბრძოლა; წყალთან ბრძოლა
- გარემოს დაცვისა და ზღვის გარემოს დაბინძურების პრევენციის პრინციპები; ნარჩენების უტილიზაციის ნებადართული წესები;
- გემების მომსახურე პერსონალის, გემის ხაბაზ-მზარეულის, გემის მეზუფეტეს გემის მედღევის
- გემის მეარტლის სამსახურებრივი ინსტრუქციები;
- გემის ელექტრომოწყობილობა, ხელსაწყოები და ავტომატური კონტროლის სისტემების ექსპლუატაციის წესები;
- ელექტრომოწყობილობების უსაფრთხო გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესები;
- სამზარეულოს ინსტრუმენტების, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, მზომი ხელსაწყოების, მჭრელი სამუშაო იარაღების დანიშნულება,

	<p>უსაფრთხო გამოყენება, გასუფთავება, მოვლა</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის კომპიუტერის ფუნქციონალური შემადგენლობა პერსონალური კომპიუტერის ძირითადი და პერიფერიული მოწყობილობები; ოპერაციული სისტემა Windows; Microsoft Office-ის შემადგენლობაში შემავალი პროგრამები (Microsoft Word, Microsoft Excel, Microsoft PowerPoint); ინტერნეტ-ტექნოლოგიები და აცნობიერებს მათი გამოყენების შესაძლებლობებს.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო. • სამუშაო არეალის მომზადება და ორგანიზება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით სამუშაო არეალის დასუფთავება; სამზარეულოს ტექნიკის, მანქანა-დანადგარების და სამუშაო ინსტრუმენტების უსაფრთხო და დანიშნულებისამებრ გამოყენება და მათი მოვლა; • პროდუქტების დამუშავება - კერძისათვის საკვები მასალის სათანადო მომზადება გასუფთავების, დაჭრის, დაქუცმაცების, გატარების ან დაფქვის გზით, კერძისათვის საჭირო მასალის თბური დამუშავება. • დიეტური და კულტურული საჭიროებების გათვალისწინებით მარტივი კერძების მომზადება. • მენიუსა და რეცეპტურის საფუძველზე, ტექნოლოგიური ბარათის გამოყენებით მზარეულის და/ან შეფ მზარეულის უშუალო ხელმძღვანელობით ნახევარფაბრიკატებისა და კერძის ცალკეული მარტივი კომპონენტების მომზადება; მასალის, ნახევარფაბრიკატების და მზაკერძების შენახვა ტემპერატურული ნორმების ზუსტი დაცვით. • კერძების მომზადების პროცესში ატარებს ტესტირებას, იყენებს გასინჯვისა და გემოს შერჩევის მეთოდებს; აწარმოებს მომზადებული საკვების გაცემას დადგენილი ზღვრული ნორმების მიხედვით; • პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. • მზარეულის, შეფ-მზარეულისა და სხვა პერსონალის • მითითებების და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით • გემის გადარჩენის ტექნიკური საშუალებების, ავარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სამაშველო ინვენტარის გამოყენება; • შეუძლია გემზე საკვების შენახვასა და მომზადებასთან დაკავშირებული სპეციალური ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაცია. • სამზარეულოს ტექნიკის, მანქანა-დანადგარების და სამუშაო ინსტრუმენტების უსაფრთხო და დანიშნულებისამებრ გამოყენება და მათი მოვლა; • კომპიუტერთან მუშაობა მომხმარებლის დონეზე. ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება და კომპიუტერში გადმოწერა. მონაცემთა არქივირება; ელექტრონული ფოსტით ურთიერთობა, პრეზენტაციის შექმნა, ჩვენება, მუშაობა სლაიდებთან. ელექტრონული ცხრილების შექმნა. <p>მარტივი მონაცემთა ბაზების მართვა, ინფორმაციის დამუშავება;</p>

<p>დასკვნის გაკეთები ს უნარი</p>	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> • მზარეულის, შეფ-მზარეულისა და სხვა პერსონალის მითითებების და იმპროვიზაციის მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით.
<p>კომუნიკა ციის უნარი</p>	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> • ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება და გააზრება; სამუშაო კონტრაქტის სამზარეულოსშინაგანაწესის, ტექნოლოგიური ბარათის, სამუშაო განრიგების, მენიუების და რეცეპტების გაგება და გააზრება. შეუძლია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა კოლეგებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობისას; შეუძლია მომხმარებელთან და კოლეგებთან ცოდნისა და პროფესიული უნარების პრეზენტაცია; შეუძლია კრიტიკულ სიტუაციაში (კომფლიქტები, საჩივრები) მყისიერი რეაგირება. კოლეგების დავალებებისა და თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; წარმოქმნილი • პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალური და ამომწურავი მიწოდება. სპეციალობისთვის საჭირო დოკუმენტაციის საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნა, დამუშავება. • იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია ინფორმაციის მოძიება და გაგება ინტერნეტიდან, ჟურნალებიდან და კულინარიული წიგნებიდან; <ul style="list-style-type: none"> • ფლობს უცხო ენას (ინგლისური) intermediate დონეზე. მომხმარებელთან და კოლეგებთან ურთიერთობისას შეუძლია მზარეულის პროფესიისათვის საჭირო ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის გამოყენება. ტექსტების წაკითხვა და დასკვნების გაკეთება. • ფლობს უცხო ენას (ინგლისური) ელემენტარულ დონეზე. შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება; იცნობს და იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია კურიკულუმით განსაზღვრული პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და დამოუკიდებლად შესწავლა, აქვს უნარი ისწავლოს მითითებული ლიტერატურის მიხედვით. სხვისი ხელმძღვანელობითა და შეფასებაზე დაყრდნობით განსაზღვროს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება.</p>
<p>ღირებუ ლებები</p>	<p>იცნობს კვებისა და სასმელების სერვისის სფეროს, მომსახურების არსს და სტუმარმასპინძლობის ძირითად პრინციპებს, პროფესიული ეთიკის ძირითად პრინციპებს გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა. შეუძლია კონსტრუქციული თანამშრომლობა კოლეგებთან და პერსონალთან; არის კეთილგანწყობილი; აქვს საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა; კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავს მობილიზაციის უნარს და მაქსიმალურად ცდილობს მომხმარებლის დაკმაყოფილებას.</p>

ნაწილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელება დაიწყება ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში

- ✦ საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური; გემის
- ✦ სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
ელექტროობა მესამე საფეხურის - გემის ელექტრიკოსი;

საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური;

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში;

პროგრამის მოცულობა: 91 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 2 275 საათი. აქედან: ზოგადი მოდულები 16 კრედიტის მოცულობით (400 სთ), პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 75 კრედიტის მოცულობით (1 875 სთ.) პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 62 (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის)/ 74 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), აქედან 6 თვე ეთმობა საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება.
- „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება);
- ასაკი - 16 წელი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიეცემა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და პრაქტიკის გავლის შესახებ ცნობები. შემდგომ მან უნდა გაიაროს სერტიფიცირება საჭირო სერტიფიკატების ასაღებად. მიღებული დოკუმენტების საფუძველზე აბარებს გამოცდას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სამუშაო დიპლომის მისაღებად.

პირს, რომელსაც აქვს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეზღვაურის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და აღიარებული ნაოსნობის სტაჟის არსებობის საფუძველზე, სამუშაო ლიცენზიის (კვალიფიკაციის სერტიფიკატის) მიღების შემდეგ შეუძლია დასაქმდეს საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის, თევზსაჭერ და სხვა დანიშნულების გემებზე გემბანის რიგითი მეზღვაურის პოზიციაზე, ასევე, საზღვაო ტრანსპორტის

მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებულ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში. აღნიშნული პროფესიისთვის დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდია: 8350

მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში სწავლის შედეგებია:

- გემბანის მოწყობილობებისა და მექანიზმების უსაფრთხო ექსპლუატაციაში მონაწილეობა;
- უსაფრთხო სანავიგაციო ვახტაში მონაწილეობა;
- გემის საჭეს მართვა;
- გემისაბმელ და სალუზე ოპერაციებში მონაწილეობა;
- გემზე არსებული სათავსების მოვლა-დასუფთავება;
- გემბანის მექანიზმების პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობა;
- სატაკელაჟო სამუშაოების შესრულება;
- გემზე სატვირთო ოპერაციებში მონაწილეობა;
- გემზე სამღებრო სამუშაოების შესრულება;
- გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.



გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში.

პროგრამის მოცულობა: 87 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 2 175 საათი. აქედან: ზოგადი მოდულები 16 კრედიტის მოცულობით (400 სთ), პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 71 კრედიტის მოცულობით (1 775 სთ.) პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 61 (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის) / 73 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), აქედან 6 თვე ეთმობა საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება.
- „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება);
- ასაკი - 16 წელი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიეცემა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და პრაქტიკის გავლის შესახებ ცნობები. შემდგომ მან უნდა გაიაროს სერტიფიცირება საჭირო სერტიფიკატების ასაღებად. მიღებული დოკუმენტების საფუძველზე აბარებს გამოცდას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სამუშაო დიპლომის მისაღებად.

პირს, რომელსაც აქვს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეზღვაურის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და აღიარებული ნაოსნობის სტაჟის არსებობის საფუძველზე, სამუშაო ლიცენზიის (კვალიფიკაციის სერტიფიკატის) მიღების შემდეგ - შეუძლია დასაქმდეს საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის, თევზსაჭერ და სხვა დანიშნულების გემებზე სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პოზიციაზე. დასაქმება შესაძლებელია ასევე, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებულ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში. აღნიშნული პროფესიისთვის დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდია: 8350

მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში სწავლის შედეგებია;

- სამანქანე განყოფილების ქვაბების, მექანიზმების, დანადგარების სისტემების ტექნიკური მომსახურება;
- სამანქანე განყოფილების მექანიზმების რემონტი - შეკეთება;
- სამანქანე განყოფილების ვახტის წარმოება;
- სამღებრო სამუშაოების შესრულება;
- საწვავის მიღებისა და გადატუმბვის ოპერაციებში მონაწილეობა;
- ლიალურ და ბალასტურ წყლებთან დაკავშირებულ ოპერაციებში მონაწილეობა;
- სამუშაო გარემოსა და მარაგების მართვა;
- გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.



ელექტროობა მესამე საფეხურის

პროგრამის სახელწოდება: ელექტროობა მესამე საფეხურის - გემის ელექტრიკოსი მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში (სარეგისტრაციო ნომერი 07313-კ).

პროგრამის მოცულობა: 52 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1300 სთ, აქედან მესამე საფეხურის ელექტროობის ზოგადი მოდულები 6 კრედიტის მოცულობით (150 სთ), საერთო ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 18 კრედიტის მოცულობით (450 სთ), მესამე საფეხურის ელექტროობის პროფესიულ/დარგობრივი მოდულები - 28 კრედიტი (700 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 45 (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის) / 57 კვირა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

მესამე საფეხურის ელექტროობის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი;
- ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე
- შენობის ელექტრიკოსი
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე
- ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე
- მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე

კურსდამთავრებული ასევე შეიძლება დასაქმდეს გემის ელექტრიკოსად დამატებითი მომზადების გავლის შემდეგ, „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის წესის III/7 და საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ მუხლი 26 მოთხოვნების შესაბამისად.

მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის ელექტროობაში სწავლის შედეგებია:

- ელექტროენერგეტიკის სფეროში გამოყენებული ხელსაწყოებისა და სამარჯვების გამოყენებით მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულება მიცემული დავალების შესაბამისად.

- სარემონტო სამუშაოების წინ მოამზადოს ინსტრუმენტები, სამარჯვები, მექანიზმები, მასალები და სათადარიგო ნაწილები. ელექტროენერგეტიკულ მოწყობილობებზე, დანადგარების ცალკეულ დეტალებსა და მარტივ კვანძებზე წინასწარ განსაზღვრული დავალებების მიხედვით საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და სამონტაჟო ინსტრუმენტების, ძირითად მეთოდებისა და მასალების გამოყენებით ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის ტექნიკური მეთოდების და უნარების ფართო სპექტრით მანიპულირება,
 - გამოავლინოს გემის ელექტრომოწყობილობის უწყსრიგობა, განახორციელოს მათი მსუბუქი რემონტი და რეგულირება.
 - აკონტროლოს ელექტროენერჯის მიწოდება ელექტროფიცირებულ დამხმარე მექანიზმებსა და სისტემებზე;
 - გემის ელექტრომოწყობილობის კაბელების მონტაჟი, დემონტაჟი, გაყვანილობა და რემონტი. აკუმულატორების ბატარეის, გამშვები მარეგულირებელი აპარატურის და ელექტროგანათების ქსელის მომსახურების გაწევა;
 - სხვადასხვა ელ.სქემების შედგენა/გარჩევა, ელხელსაწყოების, ინსტრუმენტების და სხვა ელ.მოწყობილობების გამოყენება, ელდანადგარების ექსპლუატაციის გაწევა კომპეტენციის ფარგლებში;
 - გემზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოებისა და ძირითადი ოპერაციების ჩატარება;
 - შრომის დაცვის პირობების შესრულება;
 - გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და თავისი კომპეტენციების ფარგლებში სამუშაოს შესრულება გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე;
 - გამოიყენოს ყველა საშუალება გემის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა;
 - იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა;
 - განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში;
- მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულებას მიცემული დავალების შესაბამისად: გემის ელდანადგარების, მოწყობილობების, სისტემების ექსპლუატაციის გაწევა, გაუმართაობების გამოვლენა და აღმოფხვრა, ტექნიკური მომსახურების და რემონტის ჩატარება კომპეტენციის ფარგლებში.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭება

პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტების მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინამსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფესება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემების გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ პროფესიული განათლების დეპარტამენტის პრეროგატივაა. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

ნაწილი 3 მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შპს "ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის" ბაზაზე, რომელიც მოიცავს:

- თანამედროვე ტექნიკით და შეუზღუდავი ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს და ლაბორატორიებს, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს,
- კომპიუტერულ ცენტრებს,
- ლინგაფონის კაბინეტს,
- ლოგისტიკის კაბინეტს,
- სასწავლო-საწვრთნელ გემს "ელიტა"-ს,
- ტრენაჟორული მომზადების ცენტრს, რომელიც აღჭურვილია ცნობილი ინგლისური კომპანიის „ტრანზას-მარინის“-ს მიერ წარმოებული და „ტრანზას-ევრაზიის“-ს მიერ დამონტაჟებული სიმულატორებით და სპეც-კაბინეტებით. საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად გამოიყენება:
- ბიბლიოთეკას (წიგნადი ფონდი -15128 ერთეული),
- უზრუნველყოფილია საერთაშორისო Witherbys Seamanship Library ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობ

სიმულატორები:

- Engine Room Simulator ERS 2000/3000 - სამანქანე განყოფილების სიმულატორი;
- Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) – სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორი.
- Navi -Trainer RADAR/ARPA/ECDIS/Ship Handling Simulator Pro 3000 სანავიგაციო სიმულატორი;
- Navi -Trainer Pro 5000 / ECDIS Navi Sailor 4000 სანავიგაციო სიმულატორი;
- RADAR/ARPA Module Simulator-რადიოლოკაციურისადგურები, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების სიმულატორი;
- Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) – სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორი;
- Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) Simulator TGS 5000 - უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის სიმულატორი;
- Use of electronic chart display and informational Systems - ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობების და ინფორმაციული სისტემების გამოყენების სიმულატორები;
- Ship handling and maneuvering laboratory - გემის მართვისა და მანევრირების ლაბორატორია;
- Lifeboat Simulator - სამაშველო ნავის სიმულატორი;
- Fire-Fighting Training Facility - სანაპირო ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი.

კაბინეტები:

- Engine Team and Resource Management - სამანქანე განყოფილების გუნდურ მართვა/პერსონალის მართვა კურსის კაბინეტი;
- Elementary First Aid – პირველადი სამედიცინო დახმარების კურსის კაბინეტი;
- Oil and Chemical Tanker - ნავთობ და ქიმიკრებზე ტანკერზე მუშაობის უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;
- Fire prevention and Fire Fighting - ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი ;
- Personal Safety and social responsibilities - პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი;
- Personal Survival Techniques - პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი ;
- Tanker familiarization - ტანკერზე მუშაობის გაცნობითი კურსის კაბინეტი;
- ISPS Code -გემებისა და ნავსადგურების საშუალებების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი ;
- Dangerous goods - საშიში და მავნე ტვირთების გადაზიდვის კურსის კაბინეტი.
- Elementary First Aid – პირველადი სამედიცინო დახმარების კურსის კაბინეტი;
- Oil and Chemical Tanker - ნავთობ და ქიმიკრებზე ტანკერზე მუშაობის უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;
- Fire prevention and Fire Fighting - ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი;
- Personal Safety and social responsibilities - პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი;
- Personal Survival Techniques - პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი;
- Tanker familiarization - ტანკერზე მუშაობის გაცნობითი კურსის კაბინეტი;
- ISPS Code -გემებისა და ნავსადგურების საშუალებების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;
- Dangerous goods - საშიში და მავნე ტვირთების გადაზიდვის კურსის კაბინეტი;
- Ship Handling Simulator and Bridge Team and Resource Management - გემის მართვისა და სანავიგაციო ხიდურის გუნდური მართვა/პერსონალის მართვის კურსის კაბინეტი;
- ECDIS - ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორმაციული სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი;
- Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) - უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის კურსის კაბინეტი;
- RADAR Navigation, Radar Plotting, use of ARPA - რადიოლოკაციური სადგურები, რადიოლოკაციური გავლენა და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი.

„გემზანის რიგითი მეზღვაურისა“ და „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ პრაქტიკებს სტუდენტები გადიან სასწავლო-საწვრთნელ გემ „ელიტაზე“, „გემის ელექტრიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკას გემთსარემონტო საწარმო შპს „საზღვაო ტექსერვისში“, „გემის მზარეულის“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკას

რესტორანში „ხინკლის სახლი“, რომელთანაც სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.

ნაწილი 4 პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში

პროფესიული სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - A (ფრიადი);
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - B (ძალიან კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - C (კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - D (დამაკმაყოფილებელი);
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - E (საკმარისი).

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.
- მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები - F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში

1. მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიღწევები შესაძლებელია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით განხორციელდეს.
2. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევის დონეს მოდულური პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გათვალისწინება ხდება სწავლის შედეგის/მოდულის შეფასებაში. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული და მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი;
5. სწავლის შედეგის დადებითად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს არ მოეთხოვება ამავე სწავლის შედეგის ხელახალი დადასტურება;
6. შესაძლოა რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად შეფასება;
7. შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც ბნსუ-ს ფარგლებში - სასწავლო აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასში, სახელოსნოებში, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე.
8. სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს, კანონით განსაზღვრული წესით, ეძლევა აღნიშნული სწავლის შედეგის დადასტურების უფლება.
9. სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაროს განმეორებითი შეფასება მოდულის მიმდინარეობისას ან/ და დასრულების შემდეგ მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით.
10. განმეორებითი შეფასების პირობები ასევე შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს თითოეული შეფასებისთვის შესაბამის შეფასების ინსტრუმენტებში.